



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია: კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, ტოლერანტული და თანასწორი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

იანვრის თვის აქტივობები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს ახალი დირექტორი ჰყავს.....	2
კონფლიქტები	2
დე ფაქტო ცხინვალის იზოლაციურ პოლიტიკას კიდევ ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა	2
რას მოასწავებს კრიმინალებთან ბრძოლა აფხაზეთში?.....	3
უსაფრთხოება	3
კონტრტერორისტული სტრატეგიის პროექტის შეფასება.....	3
DRI-იმ განცხადება გაავრცელა პოლიციელების მხრიდან მოზარდზე ძალადობასთან დაკავშირებით.....	4
ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი	4
ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტივაქსერული და ანტიდასავლური რიტორიკა.....	5

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს ახალი დირექტორი ჰყავს



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი თამარ ხიდაშელი გახდა.

თამარ ხიდაშელი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია და მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. 2015-2016 წლებში იყო მე-8 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი. 2008-2010 წლებში იკავებდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის პოზიციას. 2011-2015 წლებში იყო გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის კოორდინატორი და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის გუნდის ლიდერი. სხვადასხვა დროს იყო ეუთოს, ღია საზოგადოების ფონდის და გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტი ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიზაციის საკითხებზე. თამარ ხიდაშელი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის დამფუძნებელი და პირველი ეროვნული კოორდინატორია. 2013-2015 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის წევრი.

თამარ ხიდაშელი დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელია და 2020-2021 წლებში ეკავა ორგანიზაციის დირექტორის მოადგილის პოზიცია.

დე ფაქტო ცხინვალის იზოლაციურ პოლიტიკას კიდევ ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების პრობლემებზე, საჭიროებებსა და მათ ინტეგრაციაზე დიდი ხანია მუშაობს.

მხოლოდ იანვარში, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ცხინვალის იზოლაციურ პოლიტიკას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ახალგორის მთავარი ექიმის ბრძანებით, პაციენტები სამკურნალოდ მხოლოდ ცხინვალში გადაჰყავთ, მიუხედავად იმისა, რომ ახალგორი-ცხინვალის დამაკავშირებელი გზა, რთული რელიეფის გამო, პაციენტებისთვის განსაკუთრებით რთულია. ამის გამო, რამდენიმე პაციენტის მდგომარეობა კრიტიკულად დამძიმდა, რაც ორ შემთხვევაში ფატალური შედეგით დამთავრდა.

DRI-ის შეფასებით, ახალგორის მაცხოვრებლებისთვის თავისუფლად გადაადგილების აკრძალვა, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმს ეკისრებათ. თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს საქართველოს ხელისუფლებას მასზე დაკისრებული ვალდებულებისგან - იზრუნოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ საკუთარ მოქალაქეებზე.

DRI-იმ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, გამოიყენოს ყველა ფორმატი და შესაძლებლობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებების დასაცავად.

რას მოასწავებს კრიმინალებთან ბრძოლა აფხაზეთში?

ამ საკითხზე დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საკუთარი თვალსაზრისი გამოაქვეყნა. ჩვენი შეფასებით, 2021 წლის დეკემბერში აფხაზეთში მომხდარი შიდა არეულობის და მისი განმუხტვის შემდეგ, ასლან ბჟანიას დე ფაქტო მთავრობა უფრო თავდაჯერებულად გამოიყურება. როგორც ჩანს, ძალის ლეგიტიმური გამოყენების და კანონის უზენაესობის პრინციპების წარმოჩენა მისთვის პრიორიტეტი ხდება.

მოთხოვნა იზრდება და რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობა ფართო მასშტაბს პრაქტიკულად აღარ იღებს. როგორც ჩანს, აფხაზეთის საზოგადოება, გარკვეულწილად, ეგუება ბჟანიას ამ პოლიტიკას. წესრიგის და სტაბილურობის ეს ტენდენცია 2022 წლის დასაწყისშიც დადასტურდა, როდესაც აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ საბერძნეთიდან ჩამოსვენებული გარდაცვლილი გალელი კრიმინალური ავტორიტეტის ცხედრის გალში დაკრძალვას წინააღმდეგობა გაუწია. ცხადია, ცალსახად იმის თქმა, რომ ეს ინციდენტი კრიმინალებთან ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის ნაწილია, რთულია. შესაძლოა მსგავსი რამ არ მომხდარიყო, რომ არა გარდაცვლილი კრიმინალური ავტორიტეტის ქართული ეთნიკური კუთვნილება.

კონტრტერორისტული სტრატეგიის პროექტის შეფასება

2022-2026 წლების კონტრტერორისტული სტრატეგიის პროექტის დამტკიცებამდე, DRI-იმ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და საქართველოს მთავრობას თავისი მოსაზრებები და რეკომენდაციები გაუგზავნა. სტრატეგიის პროექტში სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების მნიშვნელოვანი ასპექტები სათანადოდ არ არის ასახული. სტრატეგიის პროექტი უფლებელყოფს და არ საუბრობს საქართველოში რადიკალიზაციის გამომწვევ ძირითად მიზეზებზე; კერძოდ, მასში არ არის შეფასებული რადიკალიზაციის ის რისკები, რაც ახლავს კონკრეტული უმცირესობების მარგინალიზაციას, სუსტ მმართველობას, ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევას და კანონის უზენაესობის ხელყოფას. შემოთვალისწინებულ იწვევს სახელმწიფო

უსაფრთხოების სამსახურის სურვილი, ტერორიზმთან დაკავშირებით, დაადგინოს სასამართლოში მტკიცებულებათა დასაშვებობის განსხვავებული სტანდარტი.

სტრატეგიის პროექტზე დაყრდნობით მომზადებული (ან მომზადების ეტაპზე მყოფი) შესრულების სამოქმედო გეგმა კვლავ რჩება კონფიდენციალურ დოკუმენტად, რაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, შეუსაბამოა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ მოქმედ კანონმდებლობასთან.

DRI-იმ განცხადება გაავრცელა პოლიციელების

მხრიდან მოზარდზე ძალადობასთან დაკავშირებით

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ულტრამემარჯვენე რიტორიკითა და სიძულვილის ენის ტირაჟირებით ცნობილი ონლაინ და მეინსტრიმული მედია პლატფორმების მესაკუთრეების და ყველაზე ხშირი რესპონდენტების შესახებ მიმოხილვას გამოაქვეყნა.

DRI-ის მიერ მიმოხილული ექვსი მედია პლატფორმიდან, ორი - „ალტ-ინფო“ და „ობიექტივი“ სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობს და უშუალოდ არის დაკავშირებული ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ პარტიებთან.

ექვსივე მედია პლატფორმის სარედაქციო პოლიტიკა ხასიათდება პროპაგანდისტული, დეზინფორმაციული და პრორუსული დისკურსით. ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ აქტორების ხელში ამომრჩეველთა მობილიზებისა და საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გასავრცელებლად.

DRI ულტრამემარჯვენე მედია საშუალებების მიმოხილვას აქვეყნებს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ულტრამემარჯვენე რიტორიკითა და სიძულვილის ენის ტირაჟირებით ცნობილი ონლაინ და მეინსტრიმული მედია პლატფორმების მესაკუთრეების და ყველაზე ხშირი რესპონდენტების შესახებ მიმოხილვას გამოაქვეყნა.

DRI-ის მიერ მიმოხილული ექვსი მედია პლატფორმიდან, ორი - „ალტ-ინფო“ და „ობიექტივი“ სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობს და უშუალოდ არის დაკავშირებული ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ პარტიებთან.

ექვსივე მედია პლატფორმის სარედაქციო პოლიტიკა ხასიათდება პროპაგანდისტული, დეზინფორმაციული და პრორუსული დისკურსით. ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ აქტორების ხელში ამომრჩეველთა მობილიზებისა და საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გასავრცელებლად.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტივაქსერული და ანტიდასავლური რიტორიკა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი განაგრძობს ულტრამემარჯვენე ჯგუფების იდეოლოგიური პროპაგანდისა და პოლიტიკური დისკურსის შესწავლას. ჯამში, სექტემბერ-დეკემბრის საანგარიშო პერიოდში, DRI-იმ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე გავრცელებული 865 მანიპულაციური და დეზინფორმაციული ნარატივი გამოააშკარავა.

ულტრამემარჯვენე ლიდერების ყურადღების ცენტრში იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. მათ რიტორიკაში, რომელიც მიმართული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციისკენ, პირდაპირ თუ შეფარულად გამოიკვეთა სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერი გზავნილები.

ულტრამემარჯვენე ჯგუფებში განსაკუთრებით გაძლიერდა ანტიდასავლური და ანტილიბერალური დისკურსი. აგრესიული რიტორიკის სამიზნე აღმოჩნდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი, საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი და სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია.

კონტაქტი

მისამართი
თბილისი, 0160 პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2 ა, ბიზნეს-ცენტრი საბურთალო,
მესამე სართული

ტელეფონი
(+995) 32 237 52 28

Web
www.democracyresearch.org

ელ.ფოსტა
info@democracyresearch.org